ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის შიდა აუდიტისა და
მონიტორინგის საქალაქო სამსახური

KA010153086695516

№38/25421 **08** / თებერვალი / **2016 წ.**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ დიმიტრი მოსულიშვილს

ბატონო დიმიტრი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის № 14-25 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სისტემაში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები) შიდა აუდიტისა და ინსპექტირების განხორციელებას, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სამეწარმეო იურიდიული პირებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის ინსპექტირებას. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურმა განახორციელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შესული განაცხადების შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს სამსახურში შესული მოთხოვნების დამუშავებას, ობიექტების ადგილზე დათვალიერებას და კანონშეუსაბამო ქმედებების გამოვლენას, რის საფუძველზეც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის № 14-25 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახური მოგმართავთ მითითებით უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე. სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა ამჟამად თქვენს სამსახურში განხილვის პროცესში მყოფი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის ფიზიკური და იურიდული პირების მხრიდან წარდგენილი განაცხადებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობები, შესაბამისად, წარმოგიდგენთ აღნიშნულის ამსახველ ფოტომასალას, 2 (ორი) ობიექტის ჩამონათვალს (AR1375910, AR1374956) და უფლებამოსილების ფარგლებში მოგმართავთ მითითებით, საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის სტადიაზე გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და გაატაროთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული შეუსაბამობების შესახებ სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით, მითითება მიეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

გატარებული ღონისძიებების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ.

დანართი: 7 (შვიდი) ფურც.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო
სამსახურის უფროსი

ბადრი გიორგიძე

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
№ 07/1138-13
09 02 2016 წელი
თბილისი ქ. შარტავას ქ. №7

განაცხადის ნომერი	საკადასტრო	მისამართი	ნომენკლატურა	განმცხადებელი
AR1375910	01.10.06.011.057 ;	ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე.;	ნომენკლატურა : I კლასი 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი	ვაჟა გაგუა
AR1374956	81.21.05.285 ;	ქალაქი თბილისი , ხეხილსანერგე მეურნეობა ;	ნომენკლატურა : ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი III კლასი შეთანხმებული პროექტის ცვლილება სტადიები: პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა	ვერიკო კოხოძე

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე.



არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო
ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე

